საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამკლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1,00 მანეთი

№ 28
პარასკევი, სექტემბრის 23
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხაკო იულონის ძე კალანდაძე გამოუთქმელი და ღრმისი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობართ საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლის

**მარო მოსე დოლიძის ასული კალანდაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 23 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან, კარუსელის ტალმართი № 18 (ვერის დაღმართის ჩასახვევი.)

გულმოკლული მშობლები ბაზილინე და მოსე, ძმა და რძალი პროკოფი და თინათინ დოლიძეები და და სიძე ნაღულია და ბ რმენ თოთიბაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი

**მარო მოსე დოლიძის ასული კალანდაძის**

უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, 23 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან, კარუსელის ტალმართი № 18 (ვერის დაღმართის ჩასახვევი).

განუზომელად გაწამებული მოხუცებულნი დედ-მამა პელაგია და დიმიტრი ბზიავები ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 18 სექტემბერს, ღამის თერთმეტ საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ შეუბრალებელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი სანუგეშო და ჩვენი საიმედო შვილი

**მეგი (მარიამ)**

ცხედრის გამოსვენება მოხდება პარასკევს, 23 სექტემბერს, დილის თერთმეტ საათზე ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში და ამავე დღეს სამ საათზე პროცესია გაემართება დიდუბის სასაფლაოზე დასაკრძალავად. პანაშვიდი გადახდილი იქნება საკუთარ ბინაზე ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

ამა თვის 18 სექტემბერს, საღამოს თერთმეტ საათზე შეუბრალებელმა სიკვდილმა წუთისოფელს გამოასალმა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ჩვენი ნუგეში, ჩვენი საყვარელი და უძვირფასესი და

**მეგი (მარიამ)**

რასაც ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გულდამწვარი და უბედური ძმები სიმა და დათიკო ბზიავები. დასაფლავება მოხდება 23 სექტემბერს ქალ. ტფილისში.

## განცხადება

თანახმად ფოთის რევკომის მონდოაილობისა ფოთის ხე-ტყის დამამზადებელი განყოფილება იწვევს მსურველთ კერძო პირთ ან ამხანაგობებს, იკისრონ მახლობელ ტყეებში ორი ათასი კუბიკური ხეუენი შეშის, ერთბაშად ანუ ნაწილობრივად დამზადება-გამოზიდვა და ფოთში ჩაბარება, დანიშნულ ვადაში, იმ პირობით, რომ სასყიდელი მიიღონ ნატურით ე. ი. შეშის ნაწილით.

მსურველმა უნდა წარმოადგინოს ხე-ტყის განყოფილებაში (ფოთი, 26 მაისის ქუჩა, ალანიას სახლი) განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნოს რამდენ საჟენის ჩაბარებას კისრულობს და რა ნაწილს ითხოვს; აგრეთვე უნდა წარადგინოს პირობის უზრუნველსაყოფელი საწინდარი.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ხე-ტყის განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოთის ხე-ტყის განყოფილების გამგე გ. საბახტარიშვილი.

## სახელმწიფო საოპერო თეატრში იძლევა ქირით

1921—22 წ. სეზონში თეატრის

## ბუფეტები და საკანდიტრო.

ქირის აღების მსურველთ უნდა შეიტანონ განცხადება დალუქულ პაკეტებში თეატრის გამგის სახელზე პაკეტზე ზედწარწერით „ბუფეტის იჯარა“, „საკონდიტროს იჯარა“ პირობებს გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში. განცხადებები მიიღება ამა წლის სექტემბრის 26-ს დილის 10 საათზე.

# ტრიბუნიდან

18.

**ძველი ანტანტა და ერები.**

ნაპოლეონის ომებმა სავსებით დაანგრია ძველი ევროპა, ამ ომების დიდმა ქარიშხალმა გამოიწვია ევროპის ძალების სწრაფი ხელახალი გადაჯგუფება, ახალი ეტნოგრაფიის და გეოგრაფიის შექმნა. ეხლაც საუკუნეში გინდენბურგის ომებმა შეარყია მთელი ევროპა, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნაპოლეონის ომები იყო რევოლუციის შემდეგ, ეხლა კი გინდენბურგის ომების შემდეგ რევოლუციაა, მაშინდელი ანტანტა (სამღვთო კავშირი) საკითხებს სწყვეტდა, როგორც ერთად ერთი მპყრობელი მთელი მსოფლიოსი, ეხლანდელი ანტანტა საკითხებს სწყვეტს არა როგორც ერთად-ერთი მპყრობელი მსოფლიოსი, არამედ, როგორც მპყრობელთაგანი მსოფლიოსი. ამიტომაა ძველი ანტანტა სჭრიდა თამამად ყველა საკითხს, ახალი ანტანტა უფრო აყენებს საკითხებს, ვიდრე სწყვეტს, მაგრამ ვინაიდან საჭიროა ვიცოდეთ ძველი ანტანტის ქალწულის პოლიტიკა, საჭიროა ვიცოდეთ ის ანდერძიც, რომელიც დიდმა გადმოსცა თავის ახალს.

პეტერბურგის ისეთი ერთგული ძალები, როგორიც იყვნენ კასლრი, ტალეირანი და განსაკუთრებით ალექსანდრე I ხშირად ლაპარაკობდნენ ჰუმანიზმის ხმაზე. ალექსანდრე პირველი მართლა დარწმუნებული იყო, რომ მის სიკვდილში რესპუბლიკელთა წყება ნამდვილს რესპუბლიკანელს ჰკარგავდა. ერთი სიტყვით მხოლოდ ეხლა კი არ გვიმასპინძლდება კლემანსო—ლოიდ-ჯორჯი თავისუფლების ძახილით, ასი წლის წინადაც ხმამაღლა ეწეოდნენ თავისუფლების პროპაგანდას, როდესაც თავისუფლებას მონობის გამოსაჭედად.

დღეს ანტანტის მთელ რისხვას დიდის ტანჯვით ვერ იტანს დაქუცმაცებული გერმანია, მაშინ ასეთს ტანჯვას იტანდა საფრანგეთი, რომელსაც იარაღი აყარეს, ციხეები დაუნგრიეს, საზღვრები გაუხსნეს და 150 ათასი უცხო ჯარის ეკზეკუცია ჩაუყენეს, რომლისთვისაც საჭმელი და სმელი უნდა ეძლია დაჭირვებულ ხალხს შვიდი წლის განმავლობაში.

მაშინდელი ანტანტა ქმნიდა ყოველ კომბინაციას საფრანგეთის წინააღმდეგ. არა რომელიმე ერის შენახვა და მისი დამოუკიდებლობა, არამედ საკუთარი ბედნიერებისათვის ყველა სხვა ერის გამოყენება, როგორც მასალისა—აი დიდი აზრი ევროპის რეაქციონერების მუშაობისა ვენის კონგრესის ხანაში. ამ თვალსაზრისით იქმნა შედგენილი მაშინდელი მთელი რიგი სახელმწიფო, როგორც ბუფერი, ან როგორც პირდაპირი საფარი.

აიღეთ ბელგია, რომელიც დაუმორჩილეს ჰოლანდიას. ბელგიის ხალხი, რომელიც თითქმის ორჯელ აღემატებოდა რიცხვით ჰოლანდიელებს, გახადეს ნამდვილ მონად ჰოლანდიელებისა, წაართვეს სამშობლო ენის ხმარების უფლება, მოუსპეს საკუთარი მართველობის საშუალებანი და საწყალ ფერად გაუხადეს შტატჰალტერ ვილჰელმ პირველს, რომელიც მაშინდელმა ანტანტამ აკურთხა ტახტზე და გამოაცხადა ნიდერლანდები ნეიტრალ სახელმწიფოდ. ვინ მოსთვლის რამდენი წვალება განიცადა ბელგიამ ამ დროს, ბელგიელებმა დაიწყეს ჰოლანდიურ (ფლამანდურ) ენაზე ლაპარაკი, მაგრამ მათში არ გაჰქრა დამოუკიდებლობის სიყვარული, რაიცა მოპოვებულ იქმნა ისევ ანტანტის სურვილებით ლონდონის კონფერენციაზე თებერვალში 1832 წ.

ლუქსემბურგი, რომელსაც ნიდერლანდები ეპატრონებოდნენ, ხან გერმანელები და ხან ფრანგები დამოუკიდებელ სამთავროდ აღიარეს ანტანტის ძალებმა 1867 წელს.

ევროპის არც ერთ პატარა სახელმწიფოს თავისი საკუთარი ძალით არ მოუგვარებია თავისი სახელმწიფოს საქმეები. ბელგიაში ხან ჰოლანდიის ჯარი ბრძანებლობდა, ხან საფრანგეთის, ხან კიდევ გერმანიის, ხოლო ინგლისის რისხვა ხომ მუდამ სწყევლიდა ამ ერის ბედს. ასეთივე სურათს იძლევა შვეიცარიის რესპუბლიკის ისტორია, რომლის ერები ცნობილია, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები. აი ამ მებრძოლი ერების სამეფოში თავიანთ მიზნებისათვის დათარეშობდნენ ხან ფრანგები, ხან ავსტრიელები, ხან გერმანელები, ხან რუსები. ინგლისის გავლენა, რომლითაც მიხედვით შვეიცარიელებს 1815 წლის 7 აგვისტოს შეუქმნეს სახელმწიფოს კანონი, გამოაცხადეს იგი ნეიტრალურად და თავზე იდვეს ამ ნეიტრალიტეტის დაცვაც. ასეთია ამ მეორე „დამოუკიდებელ“ „თავისუფალ“ რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მოვიგონოთ კიდევ ისპანია და პორტუგალია, ოდესღაც სამსოფლიო სახელმწიფონი, მდიდარნი ვერცხლით, ოქროთ, კოლონიებით. მე-XIX საუკუნისათვის უკვე ნამდვილი პატარა საპელეწიფონი დამოუკიდებელნიც. ვენის კონგრესზე პორტუგალიის წარმომადგენელი იყო პალმელა, სალდანა-და-გამა და ლობო-და-სილვეირა, ისპანიისა—ლაბრადორი. ამათ ძველი ანტანტა ისეთ ყურადღებას აქცევდა, როგორც თანამედროვე ანტანტა აქცევს ისპანიას და პორტუგალიას. 1810 წელს პორტუგალიის მეფე ბრაზილიაში გააძევა ნაპოლეონმა, ხოლო ინგლისმა ის მეგობრობა გაუწია პორტუგალიას, რომ ამჯამად ბრაზილია და ბრაზილიის რევოლუციონერებს დამოუკიდებლობა გამოაცხადებია მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისური ფართალი ბლომად გაეყიდებია. საფრანგეთის გენერლების შემდეგ დამოუკიდებელ პორტუგალიას თითქმის ათი წლის განმავლობაში ინგლისელი გენერალი ბირსფორდი განაგებდა, იგივე ეპატრონებოდა ბრაზილიას და პორტუგალიის მთელ საქმეებს.

ასეთივე როლი ითამაშა ინგლისმა ისპანიის სახელმწიფოში, აუჯანყა ჯერ ამერიკის კოლონიები ამერიკაში, დაეხმარა მათ „დამოუკიდებლობას“, ხოლო ისპანიის რეაქციონერები ხან ინგლისის ჯარით, ხან საფრანგეთის ხან, კიდევ რუსის ძალით ახრჩობდნენ ყოველგვარ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

რეაქციის თავგასულობით ალინავსებ აგრეთვე სკანდინავიის სახელმწიფოთა ცხოვრება. აქაც იგივე ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და რუსეთი აწესრიგებდა ყოველივეს. დანია, რომელიც ნორვეგიასთან ერთად ეწეოდა მეფის უღელს იმიტომ, რომ ნაპოლეონის მომხრე გახლდათ, გამოყვეს ნორვეგიას და კილის საზავო ხელშეკრულობით ნორვეგია დაუქვემდებარეს შვეციას, ტახტზე აკურთხეს საფრანგეთის გენერალი ბერნადოტი ალექსანდრე პირველის, ველინგტონის და ტალეირანის ყურმოჭრილი მონა. ანტანტას ამ თავგასულობამ საუკუნოებრივი შუღლი დასთესა შვეციასა და ნორვეგიას შორის, რაიცა მხოლოდ მიმდინარე საუკუნეში დამთავრდა ნორვეგიის გამოყოფით.

დანიაში შლეზვიგი და ჰოლშტეინის საკითხში პრუსიელებმა ისეთი როლი ითამაშეს, როგორც რუსებმა პოლონეთისაში. ჰ ნსენის სქემატიური ცნობით 1815 წლიდან შლეზვიგ-ჰოლშტეინი დამოუკიდებლობას ოცნებობს, მაგრამ ანტანტა მას ჯერ დანიას უმორჩილებს, ხოლო შემდეგ იგი ხდება გერმანიის მსხვერპლი, ლუკმა 1864 წლის ხელშეკრულობისა, თუმცა 1852 წელს ევროპის მტარვალურ სახელმწიფოებმა დანიას გარანტია „მისცეს“ ნეიტრალობისა და ხელუხლებლობისა.

დღევანდელი წელგამართული იტალია კლასიური ქვეყანაა, სადაც საუკუნოების განმავლობაში ხალხი დამოუკიდებლობას ოცნებობდა, მაგრამ სადაც დამოუკიდებლობას ფეხქვეშ თელავდა ევროპის ანტანტა. უამრავი აჯანყება, მრავალი რეაქცია და რევოლუცია გადაიტანა ამ ხალხმა, მაგრამ არსად იმდენი დამცირება არ უნახავს ხალხს უცხო ქვეყნის ჯარებიდან, რამდენიც იტალიის ხალხმა განიცადა. ინგლისის გაიძვერა დიპლომატია, საფრანგეთის ჯარების თარეში, თავმომაბეზრებელი და გამანადგურებელი ბატონობა ავსტრიის ჯარებისა იტალიაში ფეხ სიქმიდ იქცა იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლა. მიაღწევდა თუ არა საკუთარი ძალღონით იტალია თავისუფლებას? ამ კითხვაზე დღებით პასუხს ვერ მივცემთ, იტალიის ხალხი ვერ უშველიდა კავურის გამჭრიახობა, მაძ ნის თავგანწირულობა და გარიბალდის გმირობა, რომ 1848 წლის რევოლუციას მეტერნიხი არ გაეძევებია ლონდონს, ხოლო 1870 წლის რევოლუციას რომიდან საფრანგეთის უკანასკნელი ჯარი არ გაეწვია.

მე-XIX საუკუნეში ანტანტამ ყველა პატარა და საშუალო სახელმწიფოების დამოუკიდებლობა გაათახსირა და მიწასთან გაასწორა, ლისაც მხოლოდ პოლიტიკურ შანტაჟისტს შეეძლიან ქვეყნის თავისუფლებაზე იოცნებოს და ანტანტას კი ხელი გაუწოდოს ამ დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენ აქ თითქოს „გამოვტოვეთ“ ბალკანეთი, ოსმალეთი. თანამედროვე ომი ბალკანეთიდან დაიწყო, პირველი საერთაშორისო ომი ევროპაში, ყირიმის ომი და ევროპის ძალების დარაზმვა ბალკანეთმა გამოიწვია. არც საბერძნეთი, არც სერბია, არც ჩერნოგორია, არც ბულგარეთი, არც რუმინეთი, არც ოსმალეთი, არც ერთ ამ სახელმწიფოებს თავიანთი საკითხები არ გადაუწყვეტიათ დამოუკიდებლად, ამათი კონსტიტუციები ანტანტის დაწერილი და ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის და გერმანიის ჯარებით არის გატარებული, 1856 წლის პარიზის კონგრესზე ანტანტამ ოსმალეთის ხელუხლებლობა აღიარა თუმცა შემდეგ არა ერთხელ დაარღვიეს ეს ტრაქტატი, აქაც მოტივი დიდ სახელმწიფოების „წონასწორობა“ გახლდათ.

არის ერთი კუთხე, სადაც ისტორიული ბრძოლაა თავისუფლებისათვის, ბრძოლა საოცარი, შეუწყვეტელი თავისი მიზნებით, მაგრამ უშედეგო დღემდე. ეს ბრძოლაა ირლანდიელების ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ, ოლივ კრომველის შემდეგ ყოველი ირლანდიელი ზიზღით იხსენიებს ძველი და ახალი ანტანტის ამ მეთაურს, მაგრამ ვერავითარმა კომბინაციამ ვერ უშველა ირლანდიას, და ეს მოხდა იმიტომ რომ ირლანდია წარმოადგენს კუნძულს, განმარტოებულად ძევს და პირისპირ ხელში ჩაგდებული აქვს ინგლისს. აქ ნაკლებად აქვს ადგილი უცხო სახელმწიფოების ძალთა ურთიერთობას, რომ მათმა მეტოქეობამ გასაქანი მისცეს ადგილობრივ ძალებს. იმიტომვეა, რომ ისტორიულმა საარაკო ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის ჯერ-ჯერობით უნაყოფოდ ჩაუარა ირლანდიას. ირლანდია კლასიური ქვეყანაა, სადაც მტკიცდება, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის დღეს არც ის მოტივი არსებობს, რომ შენ კულტურული მხარე ხარ, არც ის, რომ შენ გსურს ეს დამოუკიდებლობა, არც ის, რომ შენ ამისათვის იბრძვი მუდამ და ასევე მუდამ იპრძოლებ.

ირლანდია თავისუფლებას მოიპოვებს თანამედროვე ანტანტის საფლავზე და ვიდრე ეს ინგლისი არ გაკოტრდება ფინანსიურად და ეკონომიურად, მანამდისინ ირლანდიის თავისუფლებაც ოცნებაა.

ასეთია თანამედროვე შავი ცხოვრების შავი ისტორია. ვინც დღეს ამ შავს ისტორიას ფერად სადებავს აფარებს, შავ ძალას ანტანტის სახით სახელს უკეთებს და ყალბ ილუზიას აღვიძებს ხალხში—ის ვიმეორებთ პოლიტიკური შანტაჟისტია და ჰღუპავს ქვეყანას. თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილება დამოუკიდებლობის დასამარებაა, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიბრძოლოთ საქართველოს თავისუფლებისათვის. არა, ვემართებს დიდი ბრძოლა, დიდი მუშაობა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ როგორ [illegible] და სად ვიბრძოლოთ. [illegible] რი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა, მტერი [illegible] — ანტანტაა. ჩვენ [illegible] მხოლოდ [illegible] და [illegible]. დავთხაროთ ამ შავ ძალის სამარე და ეს იქნება ფუძე სამხედრო საქართველოს სოციალური და ეროვნული თავისუფლებისა.

თედო ღლონტი.

## რევოლუცია და პედანტიზმი

2

ჩვენ აღვნიშნეთ რევოლუციათა ხასიათი და შედეგით „უსისხლო“ და „სისხლიან“ რევოლუციებს, იხლა საჭიროა თვალი გადავავლოთ იმპერიალისტურ ომებს, რომელნიც მხოლოდ ბურჟუაზიის სასარგებლოდ არის წარმოებული. საჭიროა მოვიგონოთ ფაქტები იმპერიალისტურ ომების მსხვერპლობიდან და შევადაროთ იმ „საშინელებას“, რომელიც დღეს ხდება ან და მოხდა რუსეთის ტერიტორიაზე და ჩვენში.

1912 წ. ბოროდინას ომი (რუსეთში), რომელიც მხოლოდ 12 საათის განმავლობაში დასრულდა, 115,000 კაცის სიცოცხლეთ დაჯდა.

საფრანგეთის ომებში 1789—95 წ-ში მოკლულ იქმნა:

| | | |
|---|---|---|
| ფრანგები . | 1.800 000 | კაცი |
| სხვა ევროპიელები | 2 500 000 | „ |

იმპერიის ომებში 1795—1815 წ-ში:

| | | |
|---|---|---|
| ფრანგები . | 2 600 000 | „ |
| სხვა ევროპიელები | 3.500.000 | „ |

ევროპისა და ამერიკის
ომის დროს 1815 წ.
ლამპუას გამოკვლე-
ვით 9.450 000 „

სულ 19 850 000 კაცი *)

ჩიტერტონ—ხილის გამოკვლევით ამ ომებში მოკლულია რიცხვი 21,000 000 უდრის. ამ რიცხვს უნდა მიემატოს ერთი ამდენი ომის პროცესში არა პირდაპირ მოკლული და მიღებით დასახიჩრებით ორმოცი მილ. კაცის მოსწრაფებული სიცოცხლეს 1).

არ უნდა დავივიწყოთ მატერიალური კულტურის განადგურებაც. „ამერიკის სამოქალაქო ომში დახარჯულია 31 მილ. 521·231 დოლ და 60 ც. 2)

ხსენებული ავტორის ცნობით თანამედროვე მილიტარიზმი მსოფლიოსათვის წლიურად ჯდება 8.000 000 000 დოლ.

ამას უნდა დავუმატოთ იარაღების ფანტასტიური ზრდა და მათი ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც ქმნის პირობებს, რომ ომიანობას მეტი საშინელება და ადამიანთა უამრავი რიცხვის განადგურება მოყვეს თან.

თანამედროვე არტილერიას 116 ჯერ უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე გერმანიის არტილერიას 1870 წ-ში. ამ წელს გრანატა სკდებოდა 19—30 ჯერ, ეხლა კი იგი იშლება 240 ჯერ. „ჩიკაგოში მასონის ტაძარი უდიდეს ტაძრად ითვლება მთელ დედამიწის ზურგზედ." იარაღიდან გასროლილი ყუმბარიდან ისეთი ენერგია იკუმშება, რომ ასეთ ტაძარს ერთ წუთში ორი ფუთის სიმაღლეზე აიღებს" 3)

პაციფისტებს, რომელნიც „მშვიდობიანი გზით" ეწინააღმდეგებიან იმპერიალიზმის გამანადგურებელ პოლიტიკას, კიდევ უნდა მივაგონოთ თანამედროვე იმპერიალისტური სასაკლაოს სურათები.

„როდესაც გმირმა ქრისტიანებმა დაიკავეს ბეგდერბურგი—ამბობს კირპატრიკი—დაიწყო სცენა ცემისა და ძალმომრეობისა, რომლის აღწერად ისტორიას სიტყვა არა აქვს და რომელსაც ხელოვნის კალამიც ვერ დახატავს. არც უდანაშაულობა ბავშვისა, არც უსახსარობა და უძლურება მოხუცისა, არც ახალგაზრდობა, არც სილამაზე, არც სქესი, არც მდგომარეობა არ აჩერებდა გამარჯვებულთა სიბრაზეს. ქალებს ნამუსს ხდიდენ ქმრების თვალწინ. აუპატიურებდენ ქალიშვილებს მშობლების თანდასწრებით და უბედური სქესი პატიოსნებასთან ერთად კარგავდა სიცოცხლესაც. ერთ საყდარში იპოვეს 44 ქალი, რომელსაც თავები დაჭრილი ქონდათ. ხორვაგები ბავშვების ცეცხლის ალში გადაგდებით ერთობოდენ, ხოლო პაპენგეიმის ვალონები დედის მკერდიდან ბავშს ხიშტზედ აგებდენ. 4)

იგივე ავტორი განაგრძობს „საფრანგეთის სამოქალაქო ომის დროს 1870 წ. ბრწყინვალე გმირებს, რომელნიც მთავრობის ჯარში ითვლებოდენ და იმარჯვებდენ რევოლიუციონერებზე, გამოჰყავდათ უიარაღო ტყვეები პარიზის მახლობლად გაშლილ მინდორზედ. ტყვეებში იყო კაცებთან ერთად ქალები და ბავშვები, რომლებსაც ერთად ხვრეტდენ, მრავალი შემთხვევა იყო, რომ დააყენებდენ ტყვეებს ერთმანეთს უკან ერთი მეორეზედ და შემდეგ თოფს ესვრიდენ. რომ გაეგოთ თუ რამდენ კაცს, ქალს და ბავშს მოკლავდა ერთი გასროლა. 5)

ამასთანავე აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ იმპერიალისტური პოლიტიკა ქმნის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტის მილიტარიზაციას და მთელი ნაციონალური სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ხმარდება ჯარის შენახვას, იარაღების გაუმჯობესება—გამრავლებას და საერთოდ სამხედრო საქმეებს. შედეგად ასეთ პოლიტიკას მოყვება საკუთარი ხალხის ექსპლოატაცია, სხვა სახელმწიფოს მცხოვრების დასამონავებლად ხარჯისათვის, სახელმწიფოს ახალგაზრდათა მოცდენა, და მისი ომის პროცესში დაღუპვა, საერთოდ მეურნეობის ანარქია და კრიზისები.

*) ცნობები იხ. Кирпартик. „Война... ради чего?".
1) ibid. стр. 53.
2) ibid. стр. 59.
3) ibid. стр. 101.
4) ibid. стр. 203.
5) ibid. стр. 204.

# ცრემლები პროსპექტზე ღამე ჩავლით

## მარო მაყაშვილს

რკალიდან: „საქართველო".

მე არ გიცნობდით ამორძალო, სწორო თამარის,
მაქვს სანანებლათ თქვენი სახის უნახველობა.
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ვარდი ფარავს სამარის.

ო, არ დაგცალდათ ნაზი ცქერა მზიან კამარის,
და როს იგრძენი: გშორდებოდა უნაღველობა—
გტანჯავდა უხმოთ განწირული ბედის ქველობა
და სიყვარული საქორწილო თეთრი ქამარის.

მოსჩანს მთვარეზე ხმალ-გამტყდარი მამაცი ჯარი.—
და უჩვევ შიშით ვეფარები ქვის მოაჯირებს:
მოულოდნელათ თქვენს სასთუმალს მოძვრება ჯვარი.—

ვით ქაფის სვეტი წამოდგებით გაშლილ ქოჩორით.
და გულდაწყვეტილს, მოგონებით დიდხანს გაჩერებს—
ქოროღლის ციხე. ტაბახმელა. რუხი კოჯორი.

რაჟდენ გვეტაძე.

იმპერიალიზმით კაპიტალიზმი უდიდეს აბსურდამდე მივიდა. კაპიტალისტური ნაცია ცდილობს მსოფლიოდან იზოლაციას და მსოფლიოზე ბატონობა, ეს უდიდესი აბსურდია თეორიულად და უდიდესი საშინელებაა ფაქტიურად, ასეთ პოლიტიკას კი მოყვება სისხლიდან დაწრეტა, მთელი მსოფლიოსი, ცრემლისა და სისხლის სურათები...

სამხედრო ბიუჯეტის გადიდება ფანტასტიური სისწრაფით სწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნებში: ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სამხედრო ძლიერების შექმნაში, რადგან მათ მხოლოდ სამხედრო ძლიერებით შეუძლიათ იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება. ინგლისის სამხედრო ბიუჯეტი 1900—1901 წ—ში უდრიდა 2773 მილ. ფრანკს, ხოლო 1913 წ—ში იგი აცილდა 4.937 ფრ—მდე. 1913 წ. თვითა პარლამენტში ლოიდ ჯორჯიც კი აცხადებდა, რომ ეს „საოცარი ფაქტია. 1913 წ. ინგლისმა დახარჯა თავის სამხედრო ფლოტზე მეტი, ვიდრე მთელი სახელმწიფოები და მათთან ერთად ინგლისიც ხარჯავდა 1886 წ." 6). (ხაზი ავტორისაა).

ასეთივე სისწრაფით იზრდებოდა რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი, 1866 წ. თუ იგი უდრიდა 431 000,000 მანეთს, 1906 წ—ში იგი 2075.000,000, მანეთამდე ავიდა. ამ საერთო გზას არა თუ საფრანგეთი, გერმანეთი მიყვება, არამედ დაწყებული რუმინეთ—საბერძნეთით და გათავებული ჩილითა და პერის, ავსტრალიითა და კანადით „გამოცოცხლებით მიჰყვებიან ამ გზას და თავიდან ფეხამდე იარაღში სხდებიან, სამხედრო ფლოტს ადიდებენ, რომ არ ჩამორჩენ მსოფლიოს სასაკლაოს მოედანს. 7) დიდ სამხედრო ხარჯებს მოჰყვება სახელმწიფოთა ვალიანება, რომელიც მუშათა კლასის ზურგზე ნაზღაურდება. თუ რამდენათ დავალიანებული იყო ევროპის სახელმწიფონი ჯერ კიდევ ომის წინ, მშვიდობიანობის დროს შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს.

1911 ქონდა ვალი მარკებში:

| | |
|---|---|
| საფრანგეთს | 26.046,319 800 |
| გერმანეთს | 20 600.596.900 |
| რუსეთს | 19.313.947,709 |
| ავსტრო-უნგრეთს | 15 713 098.690 |
| დიდ ბრიტანეთს | 13 447.424 000 |
| იტალიას | 11.590.073 600 |

ყოველი მხრივ ემზადებოდა და მზადდებოდა ის საშინელი კონფლიქტი, რომელიც მსოფლიო ომის სახით დაიწყო 1914 წ. და რომელმაც ძირიანად შეარყია მთელი მსოფლიოს ურთიერთობა, მისი პოლიტიკა და გამოაშკარავა, რომ კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი ეტაპი, იმპერიალიზმი ფატალური აუცილებლობით მიაქანებს მსოფლიოს ახალ ახალ დიდ ომებისაკენ. მილიტარიზმი და მარინიზმი აი ის პოლიტიკა იმპერიალიზმის, რომელიც მსოფლიოს მიიყვანს თვითმკვლელობამდე თუ მუშათა კლასმა მედგარი ბრძოლით ვერ შეაჩერა თანამედროვე მსოფლიოს სასიკვდილო განგება. ომი, ომი და სულ ომი არი კაპიტალისტური მეურნეობის დევიზი.

ომის წარმოება კი შეუძლია იმპერიალისტების დაუსრულებლივ, ვიდრე არსებობს უკანასკნელი კაცი და უკანასკნელი თოფი. მთავრობისათვის „პირველი გზაა, ხალხის წვლებისა" (საომრად. ს. ა.) კონსკრიპცია, მეორე გზაა, იარაღების და პროდუქტების წაღება რეკვიზიცია". 8) იგივე ავტორი ამბობს, სანამ არის ხალხი, რომელსაც შეუძლია ბრძოლა და მებრძოლთ ხელმძღვანელობა, მანამ შესაძლებელია ომის წარმოება.

და ეს იყო უმთავრეს მიზეზი, რომ მუშათა კლასი იარაღით ხელში მუსრს ავლებდა ერთმანეთს ამ ოთხი წლის განმავლობაში 1914—1918 მდე „რომელიც ჯერ-ჯერობით დაუჯდა კაცობრიობას 25.000,000 ადამიანის სიცოცხლეთ 1.500.000 000 მარკათ". 9).

ამ რიგათ ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ამ ცნობების შემდეგ ვსთქვათ, რომ არც ერთ დიდი რევოლიუციას, ამდენი მსხვერპლი არ დაუჯდარა კაცობრიობისათვის, რამდენიც იმპერიალისტური დიდი ომები ჯდებოდა.

აქედგან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ რევოლიუციის აპოლოგეტები, რომელიც „სისხლიანობაზე" გაჰკივიან არსებითად თავის პირადი კლასობრივ ან პარტიულ ინტერესით ხელმძღვანელობენ და არა რევოლიუციისა და მუშათა კლასის ინტერესებით.

ჩვენ მარტო იმ საშინელებას კი არ უცქერით, რომელიც დღეს ჩვენ ზურგზედ გადადის, რომელიც გვტაცებს გულიადამ ამხანაგებს, მეგობრებს, ნათესავებს და სხვა, არამედ იმ საშინელებასაც ვითვალისწინებთ, რომელიც მსოფლიო ომების სახით დაანთო იმპერიალისტურმა სამყარომ და ვამბობთ: დღევანდელი ბრძოლა, ჩვენი ტანჯვა და ტკივილები მსხვერპლი უნდა იქნეს ამ დიდ საკურთხეველზე, რომელსაც შრომის სუფევა და საერთაშორისო მშვიდობიანობა ეწოდება.

ჩვენ რევოლიუციონიზმი არ გვინდა ტერორიზმად და მილიტარიზმად ვაქციოთ. არც ის გვინდა, რომ ხელში ვაფრიალოთ სისხლში მოსვრილი იარაღი, მაგრამ დღეს ეს აუცილებელი საშუალებაა, რომ სამუდამოდ დაითრგუნოს ყოველგვარი ძალმომრეობა. მუშათა კლასმა დღეს სისხლით უნდა მოიპოვოს ის, რაც მას სამართლით ეკუთვნის.

ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რევოლიუციის დამარცხება გამოიწვევს გაცილებით უფრო მეტ სისხლის ღვრასა და განადგურებას, ვიდრე დღეს ხდება ეს ჩვენს სინამდვილეში. ვინც არ უნდა დაიკავოს ბოლშევიზმის ადგილი, მას მოყვება გადაწვა და განადგურება მთელი რუსეთის, წვალება და სიკვდილით დასჯა რევოლიუციონერების, ერთი სიტყვით ისეთი ბარბაროსობა და საშინელება, რომელიც ჯერ არ უნახავს არც ერთ რევოლიუციას. ამიტომ უნდა უკუვაგდოთ პედანტიზმი და რევოლიუციის ფერხულში ჩავებათ.

დღეს კი რევოლიუციის პროცესში გაკოტრებულ პარტიათა სისინი, ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერთა და „რევოლიუციონერთა" დიდადისი არსებითად მშრომელი ხალხის უფსკრულისაკენ გაქანებაა. დღევანდელ ხელისუფალთა უხეირო პოლიტიკა განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში, საშუალებას აძლევს კლერიკალებს თავის მოღვაწეობისათვის, მაგრამ ჩვენ, რომელნიც ყოველგვარი ანგარიშების გარეშე ვითვალისწინებთ ქართველი ერისა და მისი მშრომელი ხალხის ინტერესებს ვეუბნებით მრავალ-ტანჯულ ჩვენ ხალხს: ნუ დაუჯერებთ რეაქციონურ დიდადისს, ნუ ირწმუნებთ რევოლიუციის მიერ გაკოტრებულ პარტიათა აპოლოგეტების ლაყბობას, ნუ მიაქცევენ დიდ ყურადღებას დღევანდელი დღის შეცდომებსა და ტკივილებს, გარკვეულად და შეგნებულად ჩადექით რევოლიუციის ფერხულში, მხოლოდ რევოლიუციას შეუძლიან ქართველი ერის ჭეშმარიტი თავისუფლების გამოჭედვა და მაშვრალთა ბედის უზრუნველყოფა. ამიტომ თქვენი ხმაც შეუერთეთ რევოლიუციის გრიალს, რომ განაწამები იდეა თავისუფლებისა ცხოველმყოფელი ბრწყინვალებით იმარჯვებდეს.

ნუ დაივიწყებ, ქართველო მშრომელო, რომ დღეს იმპერიალისტური ქვეყნების თავზე კიდევ ომის ღმერთის საზარი მოწოდება გაისმის—შეიარაღდით, შეიარაღდით. მას სურს, რომ 25 მილიონ კაცის ძვლებს კიდევ დაუმატოს მილიონები მაგრამ ჩვენც უნდა დავიძახოთ—შევიარაღდეთ, შევიარაღდეთ, რომ სამუდამოდ დავამარცხოთ მილიტარული ძალა და საერთაშორისო ანიარაღებით დავამყაროთ ქვეყანაზე ადამიანური ცხოვრების პირობები.

კმარა, ცრემლისა და სისხლის ოკეანეში კვლავ აღარ ჩაებმება მშრომელი ხალხი და იგი ამავე ოკეანეში ჩაძირავს ყოველივე ამის მიზეზს—კაპიტალიზმს.

მაგრამ როგორია საერთოდ რევოლიუციის საკითხი, იმ პარტიისათვის, რომელსაც წინ მიუძღვის ჯვარედინად გადაჭდობილი ეროვნული და სოციალური დროშა? როგორია რევოლიუციის საკითხი იმ პარტიისათვის, რომელიც საქართველოს დაკოდილ გულმკერდზე აღმოცენდა და საქართველოს კეთილდღეობისათვის ატარა მძიმე ჯვარი, მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.

ხერ. ამაღლობელი.

6) М. Павловичъ „Милитаризмъ, маринизмъ стр. 17.
7) 1907—1914 წლამდე იაპონიამ სამხედრო ფლოტი გაადიდა 37 პრ. ინგლისმა 50 პრ. გერმანეთმა 61.9 პრ. საფრ. 67 პრ. იტალიამ 79 პრ. ავსტრო-უნგრ. 148 პრ. რუსეთმა 173,9 პროცენტით.

8) Г. Уэлсъ „Грядущее стр. 52.
9) М. Павловичъ „Милитаризмъ, маринизмъ стр. 45.

# ახალი ამბები

— ტფილისის საერთო განათლების კურსებზე შემოდგომის გამოცდების სიის შედგენა მოხდება ენკენისთვის 23—26 მდე. კანცელარია ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

— ავადმყოფი ი. იმედაშვილი ექიმების რჩევით სოფლად წაიყვანეს სამკურნალოდ.

— ყაჩაღის მოკვლა ახალსენაკში. სამი დღის ბრძოლის შემდეგ სექტემბრის 19 დილით მოკლულ იქმნა ყაჩაღი ხოფერია, ორი მისი ამხანაგი მიიმალა. მიღებულია ზომები მათ შესაპყრობად.

# მოწერილი ამბები.

**ხარაგოულის თეატრის გახსნის გამო.**

ხვალ, სექტემბრის 24 გაიხსნება და მოქმედებას დაიწყებს ხარაგოულის (შორაპნის მაზ.) თეატრი.—თუ გადავფურცლავთ კულტურის ისტორიას, ყველას მკაფიოდ წარმოუდგება მეხსიერებაში, თუ რაოდენი მნიშვნელობის ფუნქციას ასრულებდა თეატრი ამა თუ იმ ერის განვითარებაში და როგორ ჰქმნიდა პირობებს, რომლითაც შესაძლებელს ჰყოფდა შესთვისებოდა საზოგადოება ახალ კულტურულ ტენდენციას გამომდინარეს ახალი თაობის მოღვაწეობიდან, რომელიც იბრძოდა და სულიერ-ფიზიკურ ენერგიას არ ზოგავდა ცხოვრების ახალ წესზე გარდასაქმნელად.

დღესაც ასეთ კულტურულ ფუნქციას ასრულებს თეატრი, რომელიც იმ საკარებულო პუნქტს წარმოადგენს, სადაც ცოცხლად ინასკვება სხივთა ძნა, ყველა მისგან გამომდინარე ხაზებზე, შუქების გადასაფრქვევად. თეატრი, სადაც თავს იყრის ხალხი საერთოერთო მოქმედების დასაწყებად, [illegible] ფურცლებს, რომლის სტრიქონები აწვდიან მას ცნობას და შეგრძნებას ადამიანის დანიშნულებისას და წინასწარ აძლევს იმ გამოცდილებას, რომლის ეტაპიური განვლა მას შეხვდება სიცოცხლის პროცესში.

ჩვენში, საქართველოში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თეატრში იშლებოდა, საზოგადოთ, ხელოვნების ფრთები, სადაც ქართველი ჰპოულობდა და პოულობს საშუალებას ესტეტიურ-ემოციის კმასაყოფად. აქ ის უახლოვდება ხელოვნების იდეალს, რომელიც გამოიხატება მხატვრობა პოეზიის წარმოდგენაში. თეატრში ჩვენ ვსწვდებით იმ ჰარმონიას, როდესაც შეიძლება საკუთარი არსის მთლიანად წარმოდგენა. აქ მჟღავნდება ჩვენი სინტეტიური ძალა უნივერსალურ კანონებთან შეფარდებით. თეატრში იქნება ის ინტუიცია, რომლითაც მოიპოვება ლოგიკური დისკურსია რომელიმე კონცეპციის შესათხველად, რის შემდეგაც ხდება ადამიანის ფანტაზიის დაკმაყოფილება სიმშვენიერისა, და სილამაზის სამეფოში სანავარდოთ, უანგარობის და არა უტილიტარიზმის მიზნით.

მეორეს მხრივ ჩვენში თეატრი იყო ის ძალა, რომელიც ამეტყველებდა ჩვენ ეროვნულ ენერგიას. თეატრი იყო ტრიბუნა, საიდანაც გაისმოდა მჭექარე ხმები საქართველოს გარშემო დასარაზმავად და მოუწოდებდა ქართველ ხალხს პატრიოტიულ პოსტისაკენ, ამ ორი მიზანს, წმიდა ესტეტიურს და ნაციონალურს, მუდამ ატარებდა ჩვენი თეატრი და განსაკუთრებით უკანასკნელს მე-XIX საუკუნის განმავლობაში და მეოცეს დასაწყისში,

დღეს თუ ოდნავ შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი თეატრის ნაციონალურ მიზანს საფრთხე მოელის, თეატრი ისევ აიმაღლებს ხმას და ხაპირობებისამებრ ჩვეულებრივ სიმბოლიურ აზრების ქადაგებას დაიწყებს.

— ხვალ ხარაგოულში ახალი თეატრის გახსნის ამბავი, მისი რაიონებიდან გამოსულ მრავალ ახალგაზრდობას, მოგვრის ტკბილ ღიმილის ხაზებს. მრავალს აღუძრავს სურვილს გახდეს იმ ზეიმის მონაწილე, გაიზიაროს ის ენტუზიაზმი, რომლის ექსტაზითაც შეხვდება ხარაგოულის საზოგადოება თავის ახალ თეატრს. დღემდე თუ ადგილობრივი დრამატიული დასი სადღაც ჯურღმულ „პადვალში" ასრულებდა თავის მოქმედებას და სადაც იწვევდა ხალხს „Наслаждение"-ს მისაღებად, დღეს მას ფართო სარბიელი ეშლება გაშალოს თავის პატარა გენიის ფრთები და მისცეს სულიერი საზრდო იმ ინტელიგენციას, რომლის სულის კარის გასაღები მათ უპყრავთ ხელში. ხარაგოულის ინტელიგენცია მოზარდი თუ დროული, დღეს უნდა აშკარად ითქვას, უმოქმედობის და სიზარმაცის ბეჭედ დასმული იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მისი ერთი ნაწილი გამოერკვა შეიგნო თავისი ვალის გადახდის საჭიროება და ამ ნაწილის მოქმედების პროდუქტს წარმოადგენს დღეს ეს თეატრი. ამიერიდან საჭიროა ყველამ გადიძროს მძიმე ქურქი, აიღონ ხელში თავისი მორალურად სავალდებულო ფუნქცია და თავისი დაბა გადააქციონ ზემო იმერეთის მოაზროვნე ინტელიგენციის გონიერების ცენტრად.

ამ ახალმა თეატრმა უნდა შესძლოს გამონახოს ისეთი ნაღარა, რომლის ხმებზედაც ხარაგოულს დაუკავშირდება მისი პერიფერიებში მცხოვრები ინტელიგენტური ძალები.

დასასრულ დიდი მადლობის ღირსია ის პატარა ჯგუფი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ბ-ნ ვ. ცნობაძის დაუღალავი თანამშრომლობით არ ზოგავდა ფიზიკურ ენერგიას თეატრის ტექნიკური ფორმის დასასრულებლად.

გ. თავზარაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.